ოქმი:**ო05. 3725330001**

თარიღი:**26/11/2025**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 25 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12:30 -13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ზ. სურგულაძე, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ი. ჩიკაშუა, ტ. არეშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის განხილვის შესახებ“.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის პირველ საკითხზე, განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ფუნქციონირებდა ქალთა გენდერული საბჭო, რომელსაც მთავრობის გადაწყვეტილებს შესაბამისად შეეცვალა სახელწოდება, შესაბამისდ ცვლილება განხორციელდა საკრებულოსთან არსებულ საბჭოს სახელწოდებაშიც და ეწოდა „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“, შემდეგ გააცნო საბჭოს შემადგენლობა, კომისიის წევრებმა მოიწონეს საბჭოს შემადგენლობა და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე

დამტკიცებას.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, დადგენილების პროექტი, რომელიც ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანას, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი